№1574 2015 წლის 20 ივლისი ქ. თბილისი

**საქართველოს მთავრობას, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიასა“ და შპს „ახალ მიტარბს“ შორის დასადები თანამშრომლობის მემორანდუმის მოწონებისა და გ. კვირიკაშვილისათვის მისი ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიასა“ და შპს „ახალ მიტარბს“ შორის დასადები თანამშრომლობის მემორანდუმი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება, საქართველოს მთავრობის სახელით, მიენიჭოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**